№ 152 | 1877—1899 | № 152

კვირა, 18 ივლისი, 1899 წ.

# ივერია

**ბაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

კვირა, 18 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## დ. ხონში

ივ. შარაშიძის მიერ დაარსებული საქალებო სასწავლებელი ამა 1899 წ. 1-ლ ივლისიდგან გადაკეთებულია საერო განათლების სამინისტროს უწყების ოთხ-კლასიან საქალებო სასწავლებლად მარიამის სახელობაზედ (Маріинское училище).

ამ სასწავლებლის მთავრობა საჯაროდ სთვლის აცნობოს საზოგადოებას სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულის აზრიდგან შემდეგნი ცნობანი (მუხ. მე XI ტომ. კანონ დებულებისა, გამოცემულის 1893 წ., მარიამის სახელობის სასწავლებლების შესახებ).

1) სასწავლებელში შემოღებულ იქმნა შემდეგი სასწავლო საგნები: 1) საღმრთო სჯული; 2) რუსული სლავიანური ენა; 3) არითმეტიკა; 4) ელემენტარული გეომეტრია; 5) გეოგრაფია; 6) ისტორია; 7) შემოკლებული ბუნებითი ისტორია (ზოოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, კაცის სხეულის შენობა და ჰიგიენა.); 8) წერა; 9) ხატვა; 10) ხელთსაქმე; 11) გალობა; 12) აბრეშუმის მოვლა; 13) ქართული ენა და 14) ფრანგული ენა.

შენიშვნა: ამ უკანასკნელ სამის საგნის სწავლების ნება-რთვის ასაღებად, კანონის ძალით, სასწავლებლის მთავრობა აღძრავს შუამდგომლობას სადაც ჯერ არს, მე 2417 მუხ. და მისის მე-5 შენიშ. თანახმად.

2) ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრება სრულად გასტანს შვიდს წელიწადს: სამს წელიწადს მოსამზადებელ კლასებში და ოთხს წელიწადს—ოთხს უფროსს კლასში.

3) ამ სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულებთ ნება აქვთ, შემოკლებულ პროგრამით გამოცდის შემდეგ, სასოფლო სასწავლებლის მასწავლებლობისა. (საერო განათლების მინისტრის განკარგულება 29 მაისი 1893 წ., № 13,365 და § 10. 29 მარტი 1896 წ.)

4) სასწავლებელში მისაღები თხოვნა უნდა შემოტანილ იქნას სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზედ ოც მარიამობისთვიდგან. თხოვნასთან ერთად უნდა შემოიტანონ წლოვანების დავთრიდგან ამოწერილობა და ყვავილის აცრის მოწმობა მკურნალისაგან.

5) საღმრთო სჯულისა, რუსულის ენისა, არითმეტიკისა, გეოგრაფიისა, ისტორიისა და ფრანგულის ენის კურსი უდრის სივრცით საქალებო გიმნაზიების პირველ ოთხ კლასის კურსს. ბუნებითი ისტორია დაიწყება მეორე კლასიდგან და განგრძობა სამს წელიწადს. გეომეტრია დაიწყება მესამე კლასიდგან და განგრძობა ორს წელიწადს.

6) ამა 1899 წ. დაიწყება სწავლა მოსამზადებლებსა და 1 და 2 კლასში. მსურველს შეუძლიან დაწვრილებით ცნობები შეიტყოს სასწავლებლის ზედამხედველისაგან დ. ხონში.

საპატიო ზედამხედველი ხონის მარიამის ოთხ კლასიან სასწავლებლისა ი. შარაშიძე

(2—102—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

საერო განათლების სამინისტროს საყოველთაო მიწერილობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიმართ.

(10 ივლისი 1899 წ. № 16,299)

უმაღლესის ნების ასასრულებლად, რომელიც გამოთქმულია „მთავრობის უწყებაში" ამა წლის 25 მაისს, სამოსწავლო ოლქთა მზრუნველებთან და უმაღლეს სასწავლებელთა უფროსებთან მოლაპარაკების შემდეგ, შესაძლებლად ვცან შეიწყნარონ წლევანდელ უწესოებაში მონაწილეობის მიმღები უმაწვილი კაცები, იმ მცირეოდენ უმაწვილ კაცთა გარდა, რომელთა ყოფნა უმაღლეს სასწავლებლებში მიჩნეულ იქმნება მავნებლად სწავლის წესიერ მსვლელობისათვის და რომელნიც ამიტომ არ უნდა იქმნან მიღებულნი არც ერთ სასწავლებელში. ხოლო ყველა დანარჩენი უმაწვილი-კაცნი, უმაღლეს სასწავლებლებიდგან დათხოვნილნი, უნდა განაწილებულ იქმნან ჯგუფებად: 1) ისინი, რომელნიც შეიძლება მიღებულ იქმნან იმავე სასწავლებელში ამა წლის აგვისტოში; თუ სასწავლებელში არსებულ ადგილების რიცხვის გამო, ანუ რომელსამე სხვა მოსაზრებით ამ ჯგუფის უმაწვილების სტუდენტებად მიღება შეუძლებელი იქნება, მაშინ შეიძლება სტუდენტებად ჩაირიცხნენ ისინი მომავალ წლის იანვრიდგან, ანუ ნება მიეცეთ პირდაპირ ეგზამენი გარდაიხადონ 1900 წლის მაისში და ეგზამენის გადახდის შემდეგ ჩაირიცხნენ სტუდენტებად; 2) ისინი, რომელთაც შეუძლიათ შევიდნენ სასწავლებლებში 1900 წლის აგვისტოში. ამ ჯგუფს, სხვათა შორის, შეიძლება მიეკუთვნონ ის უმაწვილები, რომელთაც უწესოების დროს სასწავლებლიდგან გამორიცხვის შემდეგ მოესპოთ სასწავლებელში შესვლის უფლება, თუ დამტკიცდება, რომ ამ უმაწვილებისაგან არ არის მოსალოდნელი ცუდი გავლენა ამხანაგებსა და სწავლის წესიერ მსვლელობაზედ.

ასე ჯგუფებად დანაწილებას უმაწვილ-კაცებისას მე განდობ თქვენს აღმატებულებას სასწავლებლის მთავრობასთან და ადგილობრივს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

ყველა იმან, ვისაც სურს მიღებულ იქმნას, უნდა წარადგინოს თხოვნა იმ სასწავლებელში, რომლიდგანაც დათხოვნილ იქმნენ, და უნდა იცოდეს, რომ თუ მათ ხელ-ახლა მიიღეს მონაწილეობა უწესოებაში, დათხოვნილ იქმნებიან და ჩამოერთმევათ სასწავლებელში შესვლის უფლება.

## ახალი ამბავი

*** 16 ივლისს ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზედ დაესწრო 30 მდე ხმოსანი. განხილულ იქმნა შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა. შემოსავალთა აღრიცხვაში მომატებულია დაფასების გარდასახადი უძრავ ქონებათა ხელ მეორედ დაფასების გამო. გასავალთა აღრიცხვიდგან გამოკლებულია ზოგიერთი ხარჯი. მოწონებულ იქმნა აგრეთვე გამგეობის მოხსენება საკვირაო გარდასახადის შესახებ. დასასრულ, არ

## ფელეტონი

### ქალწულის პასუხი

(ადა ნეგრისა)

შეგყვარებივარ, გაგიჟებით გსურს ჩემი შერთვა,
ეგ შენი სახეც შემომჩივის კვნესას სულისას,
და მარად-ჟამსა გულის თრთოლვით აღელვებული,
ელი ჩემგანა სიტყვას ტკბილსა სიყვარულისას.
მაგრამ ეს მითხარ: გდგმია თავზედ ეკლის გვირგვინი?
გამოგიცდია ტანჯვა-შრომა იდეალისთვის?
კითენებია ცრემლთა დენით ღამენი მწარედ?
ხას ეტრფი გულით და გონებით მომავალისთვის?
პასუხს არ მაძლევ, მაშ მიბრძანდი ბარემაც ეხლავ,
როგორც ჩვეულხარ უსაქმურთა გასართობლებში:
მფლანგავთა, ლოთთა ქარაფშუტულ ქეიფს და ლხინში
და ავ-ზნით სავსე გარყვნილების დედა-მშობლებში!..
დიალ, მიბრძანდი, შენ რომ გხედავ, მიშფოთავს სული,
მე გასასყიდი არც გული მაქვს, არც სიყვარული!..
ოჰ, შენ რომ ჩემთან მოსულიყავ შრომით მაძღარი,
გულში რომ გრძნობა გიღუოდეს შეუბღალავი,
ვით მამაც გმირსა გეტყობოდეს სახე-თვალებზეც
საქმიანობის ზრუნვა-ფიქრი დაუღალავი,
ოჰ, შენ რომ ხალხის შვილი იყო ჭირში ნაწრთობი,
შენ რომე ზიზღით უცქეროდე უსაქმურთ ლხინსა
და ტკბილ მალამოდ ედებოდე სიტყვით თუ საქმით
მოძმე ხალხისა გულის ვარამს, ჭირსა და წყენას,
მაშინ დაჩაგრულ ხალხის გულის შემატკივარსა
და კეთილ-მშრომელს გაგიჟებით შეგიყვარებდი,
განაცვალებდი ჩემს სიცოცხლეს, და დალალული
შენს მკლავზედ ტკბილად დაძინებით ვინეტარებდი!
ეხლა-კი რა ხარ?—უსარგებლო კაცუნა მოძმის,
შენგან სამშობლო არას ელის, არა და არა,
მიტომაც ზიზღით და ამაყად მე გეუბნები:
უცხო ხარ ჩემთვის, წარვედ ჩემგან, განმშორდი ჩქარა!..

დ. მაჩხანელი

### წერილი გიმნაზიებში ახლად სწავლა-დამთავრებულთა მიმართ

ორმოც-და ათამდე ქართველი ახალგაზდა დამთავრებთ წელს გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში სწავლას და, უეჭველია, თითქმის ყველანი გაემგზავრებით უმაღლესს სასწავლებლებისაკენ. ვიდრე გარდასწყვეტდეთ, რომელს სასწავლებელში წახვალთ, მინდა ზოგიერთს საგანს მივაქციო თქვენი ყურადღება.

დღევანდელი ცხოვრება, და არა დღევანდელი მარტო, აგრე იყო მუდამ, მაგრამ განსაკუთრებით დღევანდელი,—განვითარებული, რთული, გამრავალგვარებული ცხოვრება ისეთია, რომ ძალა მისკენ არის, ვინც ხასიათით მტკიცეა, მხნეობით აღსავსე. საერთაშორისო ბრძოლაში ის ერი იმარჯვებს, რომელსაც მეტი ჰყავს ასეთი შვილები, ის მიდის წინ, ჰპოვებს კეთილ-განწყობილს ცხოვრებას, გზას იკვლევს უკეთეს მერმისისაკენ. სიმართლეს არ იქნება მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ ცივილიზაცია არის ნაყოფი ხასიათისა; ყველაფერი, რითაც-კი თავი მოგვწონს ადამიანებს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტეხნიკაში, სოციალურ თუ პოლიტიკურ დაწესებულებაში, ყველაფერი ხასიათით ძლიერთა და მხნეობის მქონეთაგან შექმნილია. ინგლისის თითქმის მთელს ქვეყანაზედ ბატონობის მიზეზი—ინგლისელის რკინის ხასიათია. რომაელებმა თუ ქვეყნიერება დაიპყრეს, არა მარტო იარაღით, უმთავრესად თავისის მაგარის ხასიათით. ძველი ქართველები თუ არსებობდნენ მეტად მძიმე გარემოებაშიც, მხოლოდ მისთვის, რომ სულით ძლიერნი იყვნენ, ხასიათით მტკიცენი, შეუპოვარნი.

რადა ვართ დღეს უსიცოცხლონი? რადაა ჩვენი საზოგადო ცხოვრება დაწვრილმანებული, უფერული! რა მიზეზია, რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე, დაიწყება თუ არა, მეორე დღესვე ჩაქრება, ბოლო მოეღება; რომ ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა სიცოცხლე და არსებობა მხოლოდ დიდის დრო-გამოშვებით უშინაარსო კრებებში გამოიხატება; არ შეგვიქნია ერთი საქმეც, რითიც თავი მოვიწონოთ? რომ ცხრა წელიწადი ებრძოლა ქუთაისის ინტელიგენცია კ. ჩიკვაიძეს და ვერა დააკლო რა, რომ ამ ინტელიგენციისგამკიცხველნი, თქვენი უფროსი ძმები, სიტყვად გადაქცეულან, საქმით კი სხვებსავით ღატაკნი არიან; სიტყვით გატაცებულნი, ბევრის ლაპარაკით სისხლ-გადუღებულნი ქვეყნის კეთილ დღეობას ჰფიქრობენ, მაგრამ შემდეგ გული უცივდებათ, სხვებსავით წვრილმანდებიან, ხალხს ივიწყებენ, „ქვეყანა ვის გადაუბრუნებია"? რომ საზოგადო საქმე თუ გვაინტერესებს, მხოლოდ „სხვათა შორის", თავის გასართობად, მადის მოსაგვრელად? რადა ვართ აგრე დავარდნილნი, სულით გლახაკნი, მრავალგვარ დამონებულნი? სად არის წინანდებური ქვეყნისათვის თავის განწირვა, საზოგადო საქმისთვის საკუთარის ინტერესების დავიწყება, ძველებური ხასიათის ძლიერება, მამაცობა?

ნუ იფიქრებთ, რომ მე ვაიდეალურებდე ჩვენს წარსულს, იდეალებს ვხედავდე წარსულში და იმედ-დაკარგული ვიყო აწმყოს და მომავლის შესახებ. არა, მე ის მინდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ისეთი ძვირფასი თვისებანი, რომელნიც დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება და თან მე მყავს დღეს სახეში არა მთელი ერი, არა ყველა მისი წარმომადგენელი, არამედ მხოლოდ ჩვენნი განათლებულნი ინტელიგენტები, როგორც უნდა გვესმოდეს ეს საზოგადოდ, ე. ი. ისინი, რომელნიც უნდა იყვნენ თანამედროვე მეცნიერება-ცოდნის წარმომადგენელნი, საზოგადო, საერთო, ინტერესების შემგნებელნი და ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობისა, უკეთეს მომავლისაკენ გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეულ იქმნა ქალაქის ლომბარდის გამგის კანდიდატად ხმ. ა. ს. ბაბოვი. დანარჩენი მოხსენებანი გადადებულ იქმნა შემოდგომისათვის.

⁂ წლეულ ქალაქ კიევში მოხდება საარქეოლოგიო კრება. კრებაზედ დასასწრებად მეცნიერები მიწვეულნი არიან 28 ივლისისათვის. საქართველოს წარმომადგენლად ამ კრებაზედ იქნება ალ. სოლ. ხახანაშვილი, რომელსაც მისაწვევი წერილი მიუვიდა და მალე გაემგზავრება.

⁂ სიონის სალაროში აღმოჩნდა ერთი ძველი ხატი, რომელზედაც ღვთის-მშობელი და მისი ღვთიური ძე იესო ქრისტე გამოხატულია ქართულის ტანისამოსით.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტი იუწყება, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში ადგილ-მამულების მოწყობის საქმე საბოლოოდ გადასწყდება ამა წლის შემოდგომაზედ.

⁂ საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ-ნს აბელს უკვე დაუმთავრებია ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის საქმეთა შემოწმება და მალე შეუდგება გამგეობის სხვა საქმეთა შემოწმებას.

⁂ 15 ივლისს ტფილისის გუბერნატორის მინდობილებით, ხუროთმოძღვარმა ანტონოვმა და ინჟინერ-გიდრავლიკმა პსარევმა დაათვალიერეს წყლის მილები ავჭალაში.

⁂ ტფილისის გუბერნიის მკურნალი ტ. ს. ქიქოძე გაემგზავრა გორის მაზრაში სასოფლო სამკურნალოების დაარსების საქმის გამოსაკვლევად.

⁂ სტავროპოლის ქალაქის საბჭომ განიხილა რა ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლისათვის ფულით დახმარების აღმოჩენის საქმე, თანაუგრძნო ამ სასწავლებლის დაარსებას და დაადგინა, რომ დახმარების რაოდენობა განსაზღვროს მომავალ წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების დროს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი ე. ე. ხოსროევი ორის თვის ვადით საზღვარ-გარეთ წავიდა; მისის თანამდებობის ასრულება მიენდო ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკს.

⁂ ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის გამგეობამ გზათა სამინისტროს მინდობილობით გაჰგზავნა ოდესაში სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა მომავალ კრებაზედ ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ნამუშევარი და აგრეთვე გეგმები და მოდელები.

⁂ „კავკ.“-ს ატყობინებენ, რომ ამ დღეებში სოფ. ლილოდგან ყარაიაზში, მგალობლიშვილთა მამულში, მოდიოდნენ თელავის მაზრის მცხოვრები ვანო ბატურაშვილი და ლილოს მცხოვრებნი დიმიტრი ბუდხაშვილი და ვანო (რომლის გვარი ჯერ არ იციან) სოფ. ჩათმაში. მათ თავს დაესხნენ სამი უცნობი თათარი, რომელნიც შეიარაღებულნი იყვნენ ხანჯლებითა და თოფებით. ერთმა თათარმა, რომელსაც თავი ჩაფრად მოჰქონდა, მოსთხოვა ბუდურაშვილს, შენი „ბერდანის“ თოფი მე მომეცი, უნდა დავიკიდო, და როცა ბუდურაშვილმა უარი უთხრა, თათარმა ხანჯლით დასჭრა ფერდში მსუბუქად, შემდეგ-კი წაართვა თოფი და 50 მან. ფული და გაემართა თავისს ამხანაგებთან ერთად სართიჭალის ნაწილის სოფ. მუღანლოსკენ.

⁂ სოფ. ნებათი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ამ სოფელში ყვავილმა იჩინა თავი, რომელიც დიდს ზარალს იძლევა.

⁂ ქ. თელავი. მკათათვის პაპანაქება სიცხემ მოსავალი გაანახევრა: ეს გარემოება იყო მიზეზი, თუ სხვა რამე, არ ვიცი, მაგრამ თელაველმა მეპურეებმა-კი 14 ივლისს პირი შეჰკრეს და მეორე ხარისხის გირვანქა პურის ფასი ერთბაშად 4 კაპეიკზედ აიყვანეს და პირველისა შაური გახდეს; დანარჩენ ხარისხის პურს აღარ აცხობენ. 15 ივლისს პური არ იშოვებოდა ბაზარში.

იმავე დღეს დილიდგან საღამომდე ყველა დუქანი დაკეტილი იყო. მიზეზი ამისი ის გახლდათ, რომ დილიდამვე მთელი სამღვდელოება ქართველ-სომხისა ერთად შეიკრიბა და ჯვარ-ხატებით ხელში ყველა ეკკლესია დაიარეს და პარაკლისები გარდაიხადეს. მთელი თელავი—მოხუცი თუ ჭაბუკი—ამ მღვდელთა კრებას თან დასდევდა და ღმერთს ევედრებოდა, წვიმა მოგვივლინეო.

⁂ სოფ. ჯვალაურთა (შორაპნის მაზრა). ქიათურიდგან ათი-თორმეტი ვერსის მანძილზედ მდებარეობს ეს სოფელი, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ორას კომლს აღემატება. აქ არ არსებობს არც სამკითხველო-წიგნთსაცავი, არც საგლეხო ბანკი და არც ექიმ-ფერშალი არის. ასე წარმოიდგინეთ, ჩვენდა სასირცხოდ, ამოდენა სოფელში უბრალო წერა-კითხვის სკოლის სახელიც-კი არ ჭაჭანებს.

კარგი იქნება, ქუთაისის ეპარქიალური საბჭო, რომელსაც მთელი ეპარქიის სწავლა-განათლების ლამპარი ხელთ უპყრია, ჩვენც მოგვაქცევდეს ყურადღებას და სამრევლო სკოლას დაგვიარსებდეს.

⁂ ნიკოლოზის (განცოვის) ხიდთან მდ. მტკვარმა ხიდისათვის მეტად ცუდი მიმართულება მიიღო. წყალმა გაიკეთა კალაპოტი მარცხენა მხრისაკენ და სულ ამ ნაპირს გვერდზედ აწვება. თუმცა ჯერ წყალი პატარაა, მაგრამ ნელ-ნელა ძირს მაინც უთხრის მადათოვის კუნძულს. რადგანაც იქ ნაყარი მიწაა, მალე იშლება და ჩადის ძირს. მიწა იმდენად ჩაიშალა მარჯვენა ნაპირთან, რომ ხიდის ყურსა და ნაპირს შუა სულ ერთი საჟენი-ღა დარჩენილა და წყალმა რომ უცბად მოიმატოს, ადვილად წარმოსადგენია, რაც დაემართება ხიდს.

ამასთანავე, წყლის პირის ქუჩიდგან წყლიდგან მიტოვებულ ნაპირზედ გამოდის არხი და ყოველივე უწმინდურება იქ მიდის. იქვე ქუჩის პირას, საპიროების ადგილია, ასე რომ ყოველივე ეს სიბინძურე ჩადის ძირს და ტბად დგება. თვეზე მეტი იქნება, რაც წყალი არ მისდგომია ამ ადგილს გასასუფთავებლად და ამ დამდგარ შლამისაგან ისეთი მყრალი სუნი სდგას, რომ უმეტესს სულს უგუბავს.

⁂ ქალაქის გამგეობამ გარდასახადი დააწესა ქალაქის სასწორზედ (ნიკოლოზის მოედანზედ) სოფლის ნაწარმოებისა და სანოვაგის აწონვისათვის. თითოეულ ფუთის აწონვა 1 კაპ. ეღირება.

⁂ ვერის სატივოზედ, სადაც ამ ჟამად აუარებელი ხალხი ჰკროვდება საბანაოდ, ძალიან გახშირებულია ქურდობა; იპარავენ ყველაფერს, რაც-კი ხელთ მოხვდებათ, ასე რომ ხშირად მობანავე იძულებული ჰხდება არა თუ ფეხშიშველი, არამედ სრულიად დედიშობილა დაბრუნდეს შინ.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები 1899 წ.

სამშაბათს, 6 მკათათვეს, ქ. ტფილისში გათავდა საზაფხულო საპედაგოგიო კურსები, რომელიც დაიწყო 8 თიბათვეს. ამ კურსებზედ გამოწვეულ იქმნა სამოცი მასწავლებელი საქართველოს საეგზარხოსოს ოთხის ეპარქიიდგან: 20—ქართლ-კახეთისა, 15—იმერეთისა, 15—გურია-სამეგრელოისა და 10—სოხუმის ეპარქიიდგან. რა თქმა უნდა, რომ ამ კურსებს ის უეჭველი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დააკავშირა ერთობის გრძნობით საქართველოში სხვა-და-სხვა ადგილს გაბნეული მასწავლებლები, რომელთაც ეჭიროებათ ერთობა აზრისა, ერთობა მეთოდებისა, სწავლების წეს-რიგისა, საზოგადო დიდაქტიკურ კანონებისა, რათა უფრო რიგიანად, უფრო წესიერად და სასარგებლოდ მოაწყონ სწავლა-აღზრდის საქმე სკოლებში და მით უფრო ადვილად გაჰფანტონ ბნელი უმეცრებისა წყდ. კურსებზედ მიცემულ იქმნა მასწავლებელთაგან სულ 60 სანიმუშო გაკვეთილი: 18 საღმრთო სჯულისა, 16—რუსულის ენისა, 10—ქართულის ენისა და 16—ანგარიშისა. სანიმუშო გაკვეთილები საღამოს ჟამს ირჩეოდნენ კურსების ხელმძღვანელების: საექსარქოო მეთვალყურის ნ. გ. ტატიშვილის და ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ილ. ფერაძის უმთავრესის დახმარებით. სანიმუშო გაკვეთილის მიმცემი მასწავლებელი გაკვეთილის გარჩევის წინ გააცნობდა მსმენელებს გეგმას და მსვლელობას თვისის გაკვეთილისას, უჩვენებდა თვითვე, რამდენადაც შეეძლო, თავისს გაკვეთილის ნაკლულევანებას და შემდეგ მისი ამხანაგები არჩევდნენ გაკვეთილს, ჯერ ისინი, რომელთაც ხელმძღვანელები გამოუძახებდნენ, და შემდეგ ისინი, რომელთაც ჰსურდათ გამოეთქვათ თვისი მსჯელობა, თვისი შეხედულება გაკვეთილის შესახებ. უკანასკნელი დასკვნითი სიტყვა ხელმძღვანელს ეკუთვნოდა და არა თუ მარტო სანიმუშო გაკვეთილის ღირსება-ნაკლულევანებისა, არამედ ამ გაკვეთილისაგან გამოწვეულ მეთოდიკურ საკითხთა შესახებ. მეთოდიკური საუბრები ამ თუ სხვა საგნის სწავლებას შეეხებოდა და სხვა-და-სხვა დროს წარმოთქმული თითქმის მთელს მეთოდიკას შეადგენდა. ავიღოთ მაგალითი. რუსულის ენის გაკვეთილების დროს ხელმძღვანელი შეეხო შემდეგს საკითხებს: წეს-რიგს რუსულის ენის სწავლებისა, ზეპირად, ლექსიკურის საშუალებით თანახმად იმ მოსაზრებათა, რომელნიც გამოთქმულნი არიან ბ-ნ ი. გოგებაშვილის „Руководство“-ში, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს რუსულის ენის სწავლება ამავე ავტორის წიგნების „Русское Слово“-ს დახმარებით; ხელმძღვანელმა განუმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშობლიურს ენას და თვალსაჩინო სწა-

---

გამკაფველნი, ერის წინამძღოლნი.

დღევანდელ ჩვენ საზოგადო ცხოვრების უვარგისობის მიზეზი უმთავრესად ჩვენის დღევანდელ თაობის ინტელიგენტების უხასიათობა და უმხნეობაა. ხასიათით მტკიცე, მხნე, მშრომელი ინტელიგენცია — ერის ბედნიერებაა, ხასიათით სუსტი, ნებით ავადმყოფი კი ხშირად მისი უბედურება. ხალხი ვითარდება, ხალხმა მოჰკიდა ხელი მრეწველობას და ვაჭრობას, დაფაცურებული დაეძებს საშოვარს, ეტანება ცოდნას, განათლებას; მხნეობით აღსავსე იგი არ კმაყოფილდება ერთის ადგილებით, მიდის უცხო ქვეყნებში, შორს. ჩვენი ინტელიგენცია უკან რჩება ამ წინსვლას, მის მაგიერ, რომ წინ მიუძღოდეს ერს, ინტერესებს უცავდეს მედგრად, გზას უჩვენებდეს და უკაფავდეს როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად ეროვნულად განვითარებისა და განმტკიცებისაკენ. ინტელიგენცია ვერ თავადობს დღეს არა უცოდინარობისა გამო (უცოდნელი არ არის, თუმცა არც დიდი მცოდნეა), არამედ თავისის უხასიათობისა, უმხნეობისა, უმშრომლობისა, უსაქმიანობისა გამო. რამდენადაც ხალხი ცხოველ-მყოფელია, გამრჯელი, მკვირცხლი, „მაძიებელი“ (რადიკალი), საქმისა და შრომის კაცი, იმდენად მისი დღევანდელი სათავადონი—ზანტი, დაუდევარი, ცოცხალ-მკვდარი, კონსერვატორი, უსაქმო, სიტყვის კაცი.

ერთის ინგლისელის მასწავლებლის სიტყვები: „მე ვცდილობ რკინა ჩაუდუღო ბავშვებს გულში“-ო, სრულიად გაუგებარი და წარმოუდგენელია ჩვენთვის და ეგ არის მიზეზი, რომ ვერ უმზადებთ ქვეყანას მცოდნე, მაგრამ უფრო და უმთავრესად, ხასიათის მქონე და თვით-მომქმედ მოქალაქეს.

კარგად ასწონეთ და განსაჯეთ ყველაფერი ეს, ვიდრე ამოირჩევდეთ რომელსამე უმაღლესს სასწავლებელს და ამა თუ იმ ფაკულტეტს. მე რომ უნივერსიტეტზედ ვლაპარაკობდი, სახეში მქონდა იურიდიული, ფილოლოგიური, მათემატიკური, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტები, ე. ი. უმთავრესად თეორიული, სიტყვიერი ფაკულტეტები, თუ შეიძლება აგრე ვთქვათ. ნუ გეუცხოებათ ჩემი აზრი. ვიცი, რომ თქვენ უფრო ეგრედ წოდებული საზოგადო განვითარება მიგიზიდავთ, რომელსაც იძლევა, მაგ. იურიდიული ფაკულტეტი. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ თქვენთვის დღეს უძვირფასესი უნდა იყოს ხასიათის შემუშავება და თვით-მოქმედების მიჩვევა, მაშინ ძალა-უნებურად თავი უნდა დავანებოთ ზემოხსენებულ ფაკულტეტებს, თუმცა მათ ბევრი კარგი თვისება აქვთ. დედა-აზრად უნდა გაიხადოთ საშუალო სასწავლებლის უმთავრესის დანაკლისის შევსება, ვიდრე დრო არის კიდევ, მომავალს 4—5 წელიწადში გაისწოროთ და მოიპოვოთ ხასიათი, მხნეობა, შრომის სიყვარული. ამისათვის საუკეთესო სკოლა იქნება თქვენთვის უფრო სპეციალური, უფრო პრაქტიკული და საქმის უმაღლესი სასწავლებელი, როგორიც არის სამკურნალო, ბუნების-მეტყველების და განსაკუთრებით-კი საინჟინერო, სატეხნიკო, სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო. ასეთი სასწავლებელი თავისის პრაქტიკულის მუშაობით არსებითად მოითხოვს თქვენგან მუშაობას, დროს დაფასებას, თავისს დაკვირვებას, ისე კურსის დამთავრებაც მოუხერხებელია თქვენთვის. ოთხიხუთის წლის განმავლობაში გაწესრიგებული, შეუწყვეტელი მუშაობა ძალა-უნებურად შესცვლის თქვენს ხასიათს,—შრომა გარდაიქცევა თქვენ აუცილებელ მოთხოვნილებად; მუდამ საქმიანობაში ტრიალი, სადაც მისთვის თავის-თავად არაფერი კეთდება, ლამაზისა და ბუნებოვანის სიტყვებით საქმის გადაფუჩეჩება და მიმალვა შეუძლებელია, რადგან პრაქტიკულ მოქმედებაში საქმე საქმედ არ იქნება, თუ ნამდვილად არ აქცია საქმე საქმედ; სადაც თქვენი საგანი ცხადად მოითხოვს თქვენგან მხნეობის გამოჩენას და მუშაობას, სადაც ილლიუზია და თავის მოტყუება ფეხ მოუკიდებელია,—თქვენი მსჯელობა იღებს გამორკვეულს ხასიათს, თქვენს განზრახვასა, სურვილსა და მოქმედებას შორის იბადება მუდამ მტკიცე კავშირი; სურვილი და ნება ერთმანეთს თან მისდევს, მოქმედება მუდამ ჰფხიზლობს და მიისწრაფვის განზრახულისა და სურვილის განსახორციელებლად, ფიქრის საქმედ გადასაქცევად. ცოდნა შრომასთან შეერთებული და საქმის კეთება აღზრდის თქვენში დამოუკიდებლობასა და თვით-მოქმედებას; თქვენი ხელობა იმ გვარია, რომ სამსახურშიაც-კი შეგრჩებათ თავისუფლება და დამოუკიდებულობა, მაგრამ გაცილებით ამჯობინებთ სამსახურს კერძო საქმეს, საკუთარს მოედანს მოქმედებისას; ესწრაფვით რისამე შექმნას, რისამე გამოგონებას, ცხოვრებაში ცვლილების შემოტანას; არსებითად სიტყვითა და საქმით ახალის ცოდნის გავრცელებას, ახალის საშუალების შემოღებას, ახალ ძალათა მოპოვებას. ცხოვრებაში ტრიალებთ, ცხოვრებაზედ ჰმოქმედებთ და ცხოვრება თქვენზედ. სპეციალურ პრაქტიკულმა სკოლამ მოგამზადათ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის, ეგ ცხოვრება-კი კიდევ უფრო განგივითარებთ დამოუკიდებლობას და თვით-მოქმედებას, მხნეობას, განგიმტკიცებთ ხასიათს. და რა კი გაიწვრთნებით, ასეთს საქმიანობას და ხელ-გამოღებულობას იჩენთ არა მარტო თქვენს სპეციალურს სფეროში, არამედ ყველა საქმეში, საზოგადო საქმეში, რა ხასიათის საქმეც უნდა იყოს იგი.

ასეთის ხასიათის შემუშავებაა, რომ უპირატესობას ვაძლევთ სპეციალურსა და პრაქტიკულ სასწავლებელს. ხასიათი უპირველესად! ცოდნა მასალაა, ხასიათი-კი შემქმნელი ძალა. განიმტკიცეთ ხასიათი და მოიპოვეთ მხნეობა, ცოდნას ყოველთვის შეიძენთ, რაც დაგაკლდებათ შემდეგშიაც შეივსებთ, გქონდეთ-კი შრომის მოყვარეობა. ყოველს შემთხვევაში უმჯობესია გქონდეთ ნაკლულევანება ცოდნისა, ვიდრე ხასიათისა!

მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამო კიდევ უფრო ვამჯობინებთ ასეთს სასწავლებლებს, უფრო ზოგიერთებს მათგან—სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწველო, სატეხნიკო სასწავლებლებს. ჩვენის ერის ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლებს რუსულის ენის საფუძვლიანად და შეგნებულად შესწავლის საქმეში, რა ღირსებისაა ზემოხსენებული სახელმძღვანელო წიგნები ბ-ნ ი. გოგებაშვილისა, გაეცნო აგრეთვე წეს-რიგი საგნების აღწერის საშუალებით რუსულის ენის შესწავლისა და სხ.

კურსებისათვის გამართულ იქმნა დროებით სამაგალითო სკოლა, შემდგარი სამის განყოფილებისაგან,—უმცროსს განყოფილებაში წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები იყვნენ. სწავლება სწარმოებდა შემდეგის სახით. საღმრთო სჯული: პირველს განყოფილებაში—ქართულს ენაზედ; მეორე განყოფილებაში—ქართულ რუსულს ენაზედ; მესამე განყოფილებაში—რუსულს ენაზედ მშობლიურ ენის დახმარებით შემწეობით, ისე, რომ რასაც ბავშვები რუსულს ენაზედ სწავლობდნენ, უსათუოდ უნდა სცოდნოდათ მშობლიურს ენაზედაც. სახელმძღვანელოები: წიგნები გ. იოსელიანისა, მღ. ყუბანეიშვილისა და „Наставленіе въ Законѣ Божіемъ“. რუსული ენა: პირველი განყოფილება: ლექსიკური გაკვეთილები „Русское Слово“ დგან, ქართულის ენის დახმარებით; მეორე განყოფილება: შესწავლა რუსულის ენისა საგნების თვალსაჩინო აღწერის საშუალებით „Русское Слово“-დგანვე მშობლიურ ენის შემწეობით; მესამე განყოფილება: „Русское Слово“-ს მეორე ნაწილი და რადონეჟსკის წიგნი „Книга для чтенія“. ქართული ენა: პირველ განყოფილებაში ქართული წერა-კითხვა „დედა-ენის“ საშუალებით, რამდენისამე ასოს შესწავლა წერისა და კითხვის მხრივ. მეორე განყოფილება: განმარტებითი კითხვა „დედა ენა“-ში მოთავსებულ წერილებისა. მესამე განყოფილება: განმარტებითი კითხვა „ბუნების კარში“ მოთავსებულ წერილებისა. ანგარიში: ანგარიშის შესწავლა ერთიდგან ათამდის ანტ. ნატროშვილის „კრებულის“ საშუალებით მშობლიურს ენაზედ. მეორე განყოფილება: ანგარიშის შესწავლა ათიდგან ასამდის—ტენიშევის წიგნის საშუალებით. ადვილ ამოცანების გაკვეთება მშობლიურ ენის დახმარებით. მესამე განყოფილება: ანგარიში ასიდგან მილიონამდის და დიდ რიცხვებამდის. რუსულისა და ქართულის ენების ხელმძღვანელმა ბ ნმა ილ. ფერაძემ შემდეგი, თვის მიერ შემუშავებული, გეგმა მისცა კურსელებს განმარტებითის კითხვისათვის. ა) ზეპირი საუბარი წერილის სათაურის წაკითხვის გამო; ამ საუბრის შემწეობით მასწავლებელი გააცნობს მოკლედ შინაარსს წერილისას, უკეთუ ძნელი გასაგებია შინაარსი; ბ) კითხვა წერილისა მასწავლებლის მიერ ერთხელ გარკვევით, მკაფიოდ და სამაგალითოდ; გ) კითხვა იმავე წერილისა მოსწავლეთაგან ერთხელ; დ) ამ კითხვის დროს სიტყვებისა და წინადადებათა განმარტება; ე) კითხვა წერილისა რამდენჯერმე მოსწავლეთაგან; ვ) მბობა თავისის სიტყვით წერილის შინაარსისა მასწავლებლის კითხვების საშუალებით; ზ) მბობა მასწავლებლის კითხვების დაუხმარებლად; ჱ) განმაზოგადებელი კითხვები; თ) მთავარი აზრი წერილისა; ი) ზნეობრივი სწავლა, რომელსაც გვაძლევს წერილის შინაარსი (თუ კი ამ სწავლის გამოყვანა შეიძლება შინაარსიდგან). ამ გეგმის განსხვავებითი ხასიათი ისაა, რომ თანასწორი ყურადღება ექცევა განმარტებითის კითხვის დროს როგორც თვით კითხვას, აგრეთვე წაკითხულის შეგნებას და ამის საშუალებით ბავშვების სულიერ ნიჭის განვითარებას...

კურსელებმა დაათვალიერეს სიონის და ანჩისხატის და დიდუბის ტაძრები, საისტორიო მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი და სხ...

6 მკათათვეს საეკლესიო გალობაში გამოცდილ იქმნენ კურსელები განსაკუთრებულის კომისიის მიერ ბ ნ ტატიშვილის თავმჯდომარეობით; ოცდა ცხრა მათგანმა ორმოცდა-თერთმეტიდგან მიიღო საეკლესიო გალობის ცოდნის მოწმობა. საეკლესიო ქართულს გალობას კურსებზედ ასწავლიდა ბ-ნი ს. წერეთელი და საეკლესიო იმერულს გალობას-კი ბ-ნი მ. რ. შარაძე. ეს უკანასკნელი იქამდის ერთგულად ეკიდებოდა და საქმეს, რომ სადამ-სადამოობითაც დადიოდა სემინარიაში და ავარჯიშებდა კურსელებს გალობაში. კურსების გათავების დღეს სამადლობელი პარაკლისი გადახდილ იქმნა სემინარიის ტაძარში სემინარიის მოძღვრის მ. იასონ ლაბაძის მიერ, რომელმაც მოკლე, მაგრამ კარგის შინაარსიანის სიტყვით მიმართა კურსელებს. მოძღვარმა თავისს სიტყვაში ნათლად აღნიშნა კურსების მნიშვნელობა მასწავლებელთათვის. პარაკლისის გათავების შემდეგ რექტორმა სემინარიისამ, არხიმანდრიტმა ჰერმოგენმა, ქართლ კახეთის სასკოლო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც იმ ჟამად აბასთუმანს იმყოფებოდა მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო, დეპეშით მოულოცა კურსელებს კურსების გათავება. მამა რექტორისავე ნებართვით კურსელებს საჩუქრად მიეცათ პატარ პატარა ხატები.

კურსელების სურვილი ტფილისიდგან წასვლის წინ იყო ის, რომ დაიბეჭდოს ცალკე წიგნად ხელმძღვანელების საუბრები მეთოდიკიდგან, რომელნიც სწავლების სხვა-და-სხვა საკითხებს შეეხებოდა. ეს სურვილი მართლაც რომ სამართლიანია. ხელმოკლე მასწავლებლებს საშუალება არა აქვთ სხვა-და-სხვა საუკეთესო სახელმძღვანელოები გამოიწერონ და სწავლების საქმე იმის საშუალებით გაიცნონ. არც სასკოლო საბჭოები ჯერ ისე მდიდარი, რომ ეს სახელმძღვანელოები საკმაოდ დაურიგონ მასწავლებლებს... კურსების ხელმძღვანელთა საუბრები-კი შეიცავდა აზრებს, ამოკრებილს სხვა-და-სხვა საუკეთესო რუსულს სახელმძღვანელოთაგან. ამ აზრების ერთად შეკრება, განმარტება, ადგილობრივ გარემოებასთან შეთანხმება, ადვილის, გასაგების რუსულის ენით გარდაცემა, ერთს წიგნად დაბეჭდვა და მასწავლებლებისთვის დარიგება, რასაკვირველია, ფრიად სასურველი და სასარგებლო საქმეა.

კურსებზედ აღმოჩნდა, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა უფროს-ერთი მოკლებულია პედაგოგიურს განათლებას, მხოლოდ წერა კითხვის მცოდნე და სხვა არაფერი. სწავლების საქმეს სკოლებში ასეთი მასწავლებლები ღვთის ანაბარად აწარმოებენ, საქმის ერთგულნი არიან, მაგრამ მარტო ერთგულება რას იზამს იქ, სადაც მასწავლებლებს სწავლების თეორიისა არა გაეგებათ რა. მათი მოქმედება შემთხვევითია, შეუგნებელია, ბურუსით მოცულია, ბევრის შეცდომით აღსავსეა... ამიტომ უეჭველად უნდა ჩაითვალოს ის ადამიანი, რომელიც ჰქადაგებს მასწავლებლისთვის პედაგოგიკის ცოდნა საჭირო არ არისო. იმითი მაინც არის სასარგებლო ამ საგნის ცოდნა მასწავლებლისათვის, რომ ერთი ათად უკეთესად წაიყვანს სწავლების საქმეს, თუ ეს საგანიც იცის და მასთან მუყაითი, შრომის მოყვარე და სკოლის ერთგულია.

ამავე კურსებზედ აღმოჩნდა, რომ ტირძნისის მეორე-კლასიან სკოლის მსგავსს სკოლებს შეუძლიან წერა კითხვის სკოლებისთვის მოამზადონ კარგი მასწავლებლები. ტირძნისის მეორე კლასიან სკოლის ორმა მოსწავლემ, სახელდობრ: კვანჭასაძემ და შავლოხაშვილმა მისცეს სანიმუშო გაკვეთილები კურსებზედ, პირველმა ქართულის და მეორემ რუსულის ენისა. ორივეს გაკვეთილმა კარგად ჩაიარა და კარგს გაკვეთილებად ცნობილ იქმნენ ხელმძღვანელთაგან... როდესაც პირველად, ასე ოთხი წლის წინ, აღიძრა ლაპარაკი მეორე-კლასიან სკოლების შესახებ, მაშინდელმა წინამძღოლმა გორის მაზრის თავად-აზნაურობისა ბ-ნმა ივანე დავითის ძემ სულხანიშვილმა შესწირა საკმაო ადგილი სოფელს ტირძნისში ასეთის სკოლის დასაარსებლად. ეს საქმე კიდეც დამთავრდა და წელს მზრუნველმა ტირძნისის სკოლისამ მოიმკო პირველი ნაყოფი თავისის შრომისა. ბევრს რასმეს ჰპირდება იგი თვისს მეორე-კლასიანს სკოლას, ოღონდ რომ იგი სასურველს ნიადაგზედ დადგეს. მისი სკოლა პირველი სკოლაა ამ ტიპის სკოლათაგან საქართველოში, ის წინამორბედია, მახარებელია ასეთის სკოლების რიცხვის გამრავლებისა. იმედია, რომ ეს სკოლა მისცემს ჩვენს სოფლებს ერთგულს მუშაკებს სახალხო განათლების სარბიელზედ. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ი. დ. სულხანიშვილი.

ნილი

## რუსეთი

განსაკუთრებულმა საბჭომ შეიმუშავა პროექტი იმის შესახებ, რომ მთავრობამ დახმარება აღმოუჩინოს თავად-აზნაურთა შვილების განათლებას. ეს პროექტი უკვე მოწონებულია სახელმწიფო საბჭოსაგან. მთავრობა ჰკისრულობს იმ ხარჯის ნახევარს, რომელიც საჭიროა თავად-აზნაურთა შვილების სადგომთა შესანახად და სტიპენდიების დასაარსებლად, და გარდა ამისა, ყველა იმ ხარჯს, რომელსაც გასწევენ თავად-აზნაურნი სადგომების გასამართავად. ორ ახალ საკადეტო კორპუსის დაარსების შემდეგ, თავად-აზნაურთა შვილებისათვის შესამჩნევად იქმნება მომატებული სახელმწიფო ხარჯზედ აღსაზრდელ მოსწავლეთა რიცხვი.

— 1 აგვისტოდგან, როგორც „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, შემოღებულ იქმნება ახალი ტარიფი რკინის გზაზედ პურის გადატანისა.

## უცხოეთი

**შეერთებული შტატები.** გენერალ ოტისის წინააღმდეგ ამერიკელ მწერლების მოძრაობა თანდათან ძლიერდება; ისინი ხმა მაღლა თხოულობენ იმის გადაყენებას. ბევრი გაზეთი თხოულობს, რომ ოტისის ადგილას გაგზავნონ მანილაში გენერალი მაილსი. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ამის წინააღმდეგნი არიან სენატორი განნა და პრეზიდენტი მაკ-კინლეი, რადგან, ვინიცობაა, მაილსი გამარჯვებული დაბრუნდეს მანილადგან, ერთობ საშიში მოცილე იქნება მათთვის პრეზიდენ-

---

იღბალი ვაჭრობა-მრეწველობაშია; მრეწველობა, მრეწველობის განვითარება წაგვიყვანს წინ, მისი განუვითარებლობა დაგვწევს უკან და მიწასთან გაგვასწორებს. დღეს ის ერია გამარჯვებული, რომელიც მრეწველურად უფრო განვითარებულია და, მაშასადამე, უმთავრესის, ქონებრივის ძალით მდიდარია. ისტორია ადამიანსა და ბუნებას შორის ბრძოლაა, პროგრესი—პირველის გამარჯვება და უკანასკნელის დამონება. დღეს ეგ ბრძოლა და გამარჯვება მრეწველობაში სწარმოებს უმთავრესად; ვინც მრეწველობაში უფრო წინ წასულა, ის უფრო პროგრესიულია. აქ ადამიანი ამოჰგლეჯს ბუნებას ძალას და გარდაქმნის მას თავისს მრავალგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მოიპოვებს სიმდიდრეს, ე. ი. იმას, რითაც იგი იკმაყოფილებს თავისის სხეულისა და სულის საჭიროებათ, აქვს კეთილ-განწყობილი ცხოვრება, ვითარდება, შეიკრებს თავისს არსებაში ძალებს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მრეწველობა ბუნების დამორჩილებით სიმდიდრის მოპოვებაა, სიმდიდრე—მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, საზრდოს მიღება და ეს უკანასკნელი კი—გაზრდა, გაძლიერება. როდესაც მრეწველობა ვითარდება, ერი მდიდრდება, მისი გამდიდრება-კი მისის ცხოვრების გაფართოვებაა, გადიდება, ამაღლება.

ჩვენი მრეწველურად განვითარება არა მარტო მატერიალურად გამაგრება იქმნება, არამედ გონებრივადაც გამაგრება, ეროვნულადაც გაღონიერება. მრეწველობა შეჰქმნის იმ ქონებრივს ძალას, რომელზედაც მოგვეკიდება ხელი და რომლებითაც შეგვიძლია რისიმე ამოძრავება, ქონებრივი ძალა არის დედა ძალა. რაც უნდა კარგი გეგმა შევადგინოთ, რაც უნდა კარგს რასმე ვესწრაფოდეთ სულითა და გულით, ვერას გავაკეთებთ, თუ ხელთ არ გვექნება ყველაზედ უწინარეს, ქონებრივი ძალა-სიმდიდრე.*) რასაკვირველია, ვიდრე გავმდიდრდებოდეთ, ყველაფერს ხელი კი არ უნდა ავაღოთ, მაგრამ დღეს ჩვენ უმთავრესს საგნად უნდა გავიხადოთ ეროვნული გამდიდრება. ვიცი, აქ მეტყვიან, ეროვნული კეთილ-დღეობა, ეროვნული სიმდიდრე არა ჰნიშნავს ყველას კეთილ-დღეობასაო. უეჭველია, მაგრამ ეგ მრეწველობის აუცილებელი და მუდმივი თვისება ხომ არ არის, თვით მრეწველობის განვითარებას მივყევართ შრომის ნაყოფის სამართლიანად განაწილებისაკენ. მაგრამ ყოველს შემთხვევაში ჯერ უნდა მოვიპოვოთ, შევიძინოთ რამ და მერმე უნდა ვიფიქროთ იმის განაწილებისათვის. სასაცილო იქნებოდა არაფრის განაწილების გამო სჯა-ბაასი. ყველაზედ უწინარეს, ყველაზედ უმთავრესად მრეწველობის განვითარება და გამდიდრება,—აი ეს უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი მისწრაფება, თუ გვინდა თავისს დაცვა, მტრის მოგერიება, კულტურული ცხოვრება და არა მუდამ ღატაკად და სხვის ლუკმად დარჩენა.

ეროვნული ცხოვრება ინტელიგენტთა, განათლებულთა დაუკითხავად უკვე დაადგა მრეწველობის გზას, მაგრამ თუ ჩვენს განათლებულს შეუძლიან უნდა შეასრულოს ჭეშმარიტად ინტელიგენტის, ერის წინამძღოლის როლი; კარგად უნდა ჩაუკვირდეს დღევანდელ ჩვენის ცხოვრების მიმართულებას, ცოდნით აღჭურვილმა გაიგოს ჩვენის განვითარების უკეთესი გზა და ეცადოს გამოიყვანოს ცხოვრება მაგ გზაზედ და თუ ერი უკვე დასდგომია ამ გზას, გააადვილოს, დააჩქაროს, უფრო ნაყოფიერი ჰქმნას მისი მაგ გზით სიარული. აქ სიტყვით არა გაკეთდება რა, აქ საჭიროა უმთავრესად პირდაპირ მრეწველთა და ვაჭართა რაზმში ჩადგომა, მათთან ერთად ბრძოლა ბუნებასთან, კაპიტალის მოპოვება, ძიება უკეთესთა საშუალებათა, საქონლის გაკეთების გაიეფებისა, ბაზრის მოპოვებისა და სხ. თუ ახალგაზდობას ნამდვილად შესტკივა გული თავისის ერისათვის, აინტერესებს მისი ბედ-იღბალი, მან უკუ უნდა აგდოს ცრუ-სირცხვილი და ხელში აიღოს ჩოთქი, ჩაქუჩი, ბარი, გვერდში ამოუდგეს მანქანას, რომელიც კაცობრიობის ძლიერების განხორციელებაა, სულით გაძლიერდეს მით და გააკვლიოს გზა მრეწველობის განვითარებისაკენ. აი საუკეთესო მოედანი განათლებულთათვის, ინტელიგენტებისათვის! მხოლოდ ისინი უნდა აღიჭურვონ უპირველესად მტკიცე ხასიათითა და მხნეობით, ცოდნითაც და ცოდნით სპეციალურ, ტეხნიკურ-სამრეწველოთიც.

კმარა სიტყვები, გვეყოფა ოცნებობით ცხოვრება, დრო არის საქმიანობა დავიწყოთ, მაგრად მოვიდგათ ფეხი ნიადაგზედ, ფხიზლად შევხვდეთ გარემოებებს. არა რა კეთდება „თავისს თავად“ და „სხვათა შორის“, გეგმების შედგენით, არა რა მოისპობა განკიცხვით, ერთის ხელის გაქნევით, შორს ვერ წავალთ მარტო სიტყვებით გატაცებულნი, საჭიროა საქმიანობით გატაცება. არასოდეს არ უნდა უკუ ვაგდოთ იდეია, იდეალიზმი, მაგრამ დღეს ჩვენი უმთავრესი ძალა მხოლოდ ქონებრივი ძალაა.

ეს ორი საგანი იქონიეთ სახეში, როდესაც აირჩევთ ამა თუ იმ უმაღლესს სასწავლებელს: ხასიათის სიმტკიცე და საქმიანობა და მრეწველობისათვის მომზადება. თუ საზოგადოდ სპეციალურ-პრაქტიკული სასწავლებელი შეამუშავებს თქვენს ხასიათს, სატეხნიკო-სამრეწველო მოგამზადებთ მასთან სამრეწველო ასპარეზზედ გამოსასვლელად, რომელიც დღეს ჩვენში საზოგადო მოღვაწეობის საუკეთესო ასპარეზია. თქვენ დღეს იდეებსა და ოცნებებში ტრიალებთ და, ვიცი, გეუცხოვებათ, ჩემი ვითომ პრაქტიკული წინადადება. მაგრამ თუ ეგ წინადადება პრაქტიკულია, არა ვიწრო პრაქტიკული. კარგად მოიფიქრეთ—ვისაც ერისთვის სამსახური უნდა, მან უნდა შეიგნოს ერის ნამდვილი საჭიროება და დააკმაყოფილოს ეგ საჭიროება. თავისს მოტყუილება არავისთვის არ ვარგა, განსაკუთრებით მისთვის, ვინც საზოგადო მოღვაწეობას ჰფიქრობს.

S—son.

*) ვამბობთ ამას, მაგრამ ამასთანავე არ უარვყოფთ იდეიურ (იდეების) ძალას, მისს დიდს მნიშვნელობას,

ტობის თანამდებობაზედ. ამავე დროს ამერიკის სამხედრო უწყება დიდ შრომას ეწევა და სინჯავს ყოველგვარ ასაფეთქებელ მასალას და მსუბუქ ზარბაზნებს, რომლებიც ფილიპეს არხიპელაგზე უნდა გაჰგზავნონ. დამზადებული არის ეხლა პატარ-პატარა და მსუბუქი ზარბაზნები, რომელთა გადატანა ადვილად შეიძლება ვირებით; ამ ზარბაზნების დიდი იმედი აქვთ ამერიკელებს. ეს უკანასკნელნი ჰფიქრობენ აგრეთვე არტილერიისა და ყუმბარებიან ყუთების გადასატანად გამოიყენონ როგორმე ავტომობილი. ეს თუ მოახერხეს, დიდად შეამცირებენ ხარჯს, რადგან უამისოდ ამერიკიდგან დასჭირდებათ ცხენებისა და ვირების წაყვანა და მათი საკვების წაღება.

—

**სერბია.** ავსტრიის გაზეთებს ცნობები მიუღიათ ბელგრადიდგან, რომ პოლიციამ უკვე შეჰკრიბა ყოველგვარი ცნობები მილანის წინააღმდეგ შეთქმულობის შესახებ და მთელი მასალა სასამართლოს გამომძიებელს გარდასცა. ის ხმები, ვითომც ამ საქმის გამო დაჭერილი კაცები ციხეში იყვნენ დამწყვდეულნი, ტყუილი არისო. ისინი ყველანი პოლიციის სატუსაღოში არიან და იქვე დარჩებიან საქმის გათავებამდიო. აგრეთვე ის ხმებიც ტყუილია, ვითომც დატუსაღებულებს ბორკილი ჰქონდეთ შეყრილიო.

— 7 ივლისს უმაღლეს სასწავლებლისაგან დეპუტაცია მისულა მილანთან მშვიდობიანად გადარჩენის მისალოცავად. დეპუტაციისათვის მილანს, სხვათა შორის, აი რა უთქვამს: „თქვენ შორისაც არიან ისეთები, რომელნიც, იმის გამო, რომ მათ ჩემი საყვარელი შვილი და მბრძანებელი ენდობოდათ, მინისტრებად და სახელმწიფო საბჭოს წევრებად იყვნენ, რამაც ხელი არ შეუშალა მათ, როგორც მშიშრები, უკანიდგან თავს დამსხმოდნენ და ვცდილობდე, რათა უცოდინარნი არ დარჩეთ ამ საქმისა, მე პირდაპირ გეტყვით, ვისზედაც ვლაპარაკობ. მე ვლაპარაკობ დოქტორ მიხაილ ვუიჩის შესახებო“. ვუიჩს მომაკვდავი კაცის ფერი დასდებია და მხოლოდ ეს უპასუხნია: „მე არ ჩამიდენია ესაო“. დეპუტაციის დანარჩენ წევრებს წამოუძახნიათ: „შერცხვენა და თავსლაფი ვუიჩსო!“, რის შემდეგ ყველანი წასულ-წამოსულან.

დოქტორი ვუიჩი იყო ფინანსთა მინისტრად, უმაღლეს სასწავლებლის პროფესორად და სახელმწიფო საბჭოს წევრად. ამბობენ, რომ მან შუამდგომლობა სთხოვა მინისტრს ლოზანოვიჩს მისახურეთ მილანმა, რათა თავი გაიმართლოვო.

—

**ბელგია.** ბელგიის მინისტრთა უკანასკნელ სხდომაზედ, როგორც იქმნა, გამოირკვა, თუ რა თვალით უყურებს მეფე დღევანდელ კრიზისს. მეფე არა თუ თავ-გამოდებით ამტკიცებდა, რომ საჭიროა ისევ ლიბერალთა დასს მიეცეს შესაფერი ადგილი პარლამენტშიო, არამედ ისიც განაცხადა, რომ ახალმა საარჩევნო წესდებამ უნდა უზრუნველ-ჰყოს ლიბერალთათვის, სულ მცირე, 60 ადგილი პალატაშიო. ტახტის სიმტკიცისათვის საჭიროა, მეფის აზრით, კონსერვატორთა და ლიბერალთა დასების დახმარება, იმიტომ რომ მეფეს, თუ სამინისტროს გამოცვლა აუცილებელი შეიქმნა, არა ჰსურს სოციალისტებს მიჰმართოს. მეფემ დასძინა, თუ საარჩევნო საქმეში ცვლილებათა შემომღებმა კომისიამ ვერაფერი გააწყო, მე დავითხოვ პალატას და მოვიწვევ ლიბერალთა სამინისტროს, ბარონის ლამბორმანის თავმჯდომარეობითო.

## დამავყვარდი

ტანჯე ღმობიერებით სჯულის დებითა მტრობი და ნუ გამოიჩენ სკვითებრსა რისხვასა და უწყალოებასა.

საეკლ. მუზ. № 153

***

საბნელოში ის მკრება, რომელსაც სინათლე თვალს უბრმობს.

ლასურიძე

***

ცხენისა სიმალე სირბილსა შინა, ხოლო მოყვრისა სიყვარული ჭირსა შინა გამოცხადნეს.

ფილოსოფ. პლატონ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიუ-იორკში არსებობს ერთი საზოგადოება, რომელიც თავისს წევრებს სიკვდილის შემდეგ ოთხას-ოთხას მანეთს აძლევს დასამარხად. ამას წინად ამ საზოგადოების ერთმა წევრმა სოლომონ ლევენსონმა თავისდა უნებურად ისე ძლიერ დაიშავა ფეხი, რომ იძულებული გახდა მოეჭრევინებინა. როდესაც ფეხი მოსჭრეს, ლევენსონმა მიჰმართა საზოგადოებას და 80 მანეთი სთხოვა. თხოვნაში ლევენსონი ამბობდა, რომ დასამარხად წევრს 400 მანეთი ეძლევა, რადგანაც მე სხეულის ერთი ნაწილი დავკარგე, ამიტომ ამ ნაწილში ანგარიშით 80 მანეთი მიბოძეთო. საზოგადოებამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა, მაგრამ, რადგან საჩივრისა ეშინოდა, დათანხმდა 80 მანეთის გადახდას, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ეს ფული ლევენსონს უნდა მოეხმარა უდროოდ დაკარგულ ფეხის დასამარხად... ლევონსონს, რასაკვირველია, ეს პირობა არ მოეწონა, მაგრამ კანონიერი იყო და რას იზამდა; ამიტომ 1 ივლისს თავისი ფეხი დიდის ამბით დაასაფლავა. დასაფლავებას აუარებელი ხალხი დასწრებია თურმე.

***

ერთი პარიჟელი გაზეთი მეტად უცნაურს ამბავს იუწყება. ამ გაზეთის სიტყვით, ლონდონში სცხოვრობს ერთი კაცი, სახელად შერდი, რომელსაც საკვირველი ძალა ჰქონია. ამ კაცს შეუძლიან ერთი ცხოველი მეორედ გარდააქციოს, ან რომელიმე ცხოველი უცნაურ არსებად გარდაჰქმნას, ერთის თავის მაგივრად, მაგალითად, ორი თავი მოაბას, ოთხის ფეხის მაგივრად—რვა და სხვა. შერდი თავისს თავს პროფესორს უწოდებს. უცნაური პროფესორი მახინჯს კაცებსაც-კი „ამზადებს“ თურმე. ყველა ამ თავისს მიერ დამზადებულ ცხოველებსა და კაცებს ცირკებსა და ბალაგანებში ჰყიდისო, ამბობს გაზეთი. იმის სახელოსნოში რომ შეხვიდეთ, დაინახავთ ორ-თავიან და ოთხ-ხელიან ზანგს, თხის რქებიან ქალს, ოთხ-ხელიანს ბავშვს და სხვას. თუ ყველა ეს სიმართლეს მოკლებული არ არის, საკვირველია, რატო ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს და არ გამოიკვლევს როგორ „ამზადებს“ ეს კაცი ამდენ უცნაურ ადამიანებს და ცხოველებს.

***

ეს არის ეხლა დაბრუნდა სამშობლოში ექიმი ფრედერიკ კუკი. ეს კუკი, ვითარცა ექიმი და ანტროპოლოგი, თან ახლდა ბელგიელთა ექსპედიციას, რომელიც ამ ორის წლის წინად სამხრეთ პოლიუსისაკენ გაემართა. მოსვლისათანავე კუკს აუარებელი რეპორტიორები დაესხნენ თავს, მაგრამ, რადგანაც ექიმს აზრადა აქვს თავისს მგზავრობის აღწერილობა და გამოკვლევანი სამეცნიერო ჟურნალში დაჰბეჭდოს, ამიტომ რეპორტიორებმა ბევრი ვერაფერი გაიგეს, თუმცა კუკმა ცოტა რამ მაინც გადასცა მგზავრობისა. ექსპედიციას მრავალი ისეთი ადგილი გაუვლია და დაუთვალიერებია, სადაც წინად კაცის ფეხი არ შემდგარა, ერთ ადგილას გემი, რომლითაც ექსპედიცია მგზავრობდა, ყინულებში ისე მაგრა გაჭედილა, რომ რამდენიმე თვე ველარ განუთავისუფლებიათ. ამავე დროს პოლიუსის ღამესაც მოუსწრია და ის ღამე-კი 70 დღეს გასტანს ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში სიბნელის მეტი გაჭირვება თითქმის არაფერი გამოუცდიათ. გარდა იმისა, რომ სურსათი თან ბლომადა ჰქონდათ, იქ მორჟებიც ბევრი ყოფილა, რომელთაც ადვილად ხოცავდნენ თურმე. როდესაც ღამე გათავებულა ექსპედიცია თადარიგს შესდგომია გემის ყინულებისაგან განსათავისუფლებლად. ამისთვის ყინულის ხერხვას შესდგომიან. ექვსი კვირა მოუნდომებიათ ამ საქმისათვის და შემდეგ გემი როგორც იქმნა გაუთავისუფლებიათ. ორის კვირის შემდეგ გემი პუნტა-ახენესში მისულა. წელიწად ნახევარი ყოფილა ექსპედიცია დანარჩენ ქვეყანას მოწყვეტილი, ამიტომ, რაღა ლაპარაკი უნდა, როგორც მწყურვალს წყალი, ისე სწყუროდათ ამ ხნის განმავლობაში მომხდარ ამბების გაგება. უპირველესს ყოვლისა დრეიფუსის საქმის ვითარება გამოუკითხნიათ. შემდეგ ისიც გაუგიათ, რომ ესპანიასა და ამერიკას შორის ომი მოხდა. ექსპედიციას ბევრი საყურადღებო ცნობები შეუკრებია პოლიუსის მახლობლად მდებარე მიწებისა და ზღვების შესახებ. ამ ცნობებს მალე გამოაქვეყნებენ.

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო: 1, „Сборникъ свѣдѣній по плодоводству въ Закавказскомъ краѣ“. ამ კრებულში ორი წერილია მოთავსებული: პ. გ. კანდურალოვისა—მეხილეობა გოგჩის მაზრაში, და ა. ხ. როლლოვისა—მეხილეობა ერევნის გუბერნიაში. წიგნი მეტად საყურადღებოა იმათთვის, ვისაც უნდა გაიცნოს მეხილეობის საქმე როგორ არის დაყენებული დასახელებულ ადგილებში. ბოლოში წიგნს მრავალი სურათები აქვს ჩართული სხვა-და-სხვა ხილისა. წიგნი, სურათებს გარდა, 166 გვერდს შეიცავს.

2. „Опытъ грузино-русскаго словаря“, შედგენილი ნორმალურ სასწავლებლებისათვის კ. ბალაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 394 გვერდს და ღირს ათი შაური. დაწვრილებით ამ წიგნს შემდეგ განვიხილავთ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. გ—ი. ვ. ი—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. კ—ვი. პ. მ—შვილს.** გმადლობთ ლექსთა ძღვნისათვის. არ დაიბეჭდება.

**დ. ქ—თი. გ. გ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ტ—რი. ვ. ნ—შვილს.** თქვენს უკანასკნელს წერილს არ ვბეჭდავთ.

**ტარაკან ტარაკანოვიჩს.** არ დაიბეჭდება,

**ქ. პ—სკა. გ. ბ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**№ 2.** უსახელო წერილებს რედაქცია არა ჰბეჭდავს და ეგ თქვენი წერილი-კი, სახელიანიც რომ იყოს, არ დაიბეჭდება.

**იდაშვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. თ—ვი. ბეგლარას.** არ დაიბეჭდება.

**დ. ჭ—რა. მ. ჭ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ქ—სი. ა. ს. გორდაძეს.** როგორც თქვენის წერილიდგანა სჩანს, სასამართლოსათვის მიგიმართავთ. როცა საქმეს განიხილავს სასამართლო, გარდაწყვეტილების შემოწმებული პირი გამოგვიგზავნეთ და თქვენს წერილს მაშინ დავბეჭდავთ.

Solo-ს. არ დაიბეჭდება.

S—son. ქთვენი საყურადღებო წერილი ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო სრულად ვერ იბეჭდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივლისი.

**ცეტინიე.** ქორწინება მთავრის ძის დანილოსი და პრინცესსა იუტტასი მოხდა გუშინ, საღამოს 6 საათზედ.

**პარიჟი.** ნეგრიემ განუცხადა „Gaulois“ ს, თანამშრომელს, მე ადვეკუთვნი ჯარს და გადავწყვიტე გამოვიდე სამსახურიდგანაო.

ესტერგაზიმ განუცხადა Matin“ ის თანამშრომელს, რომ რენში არ წავალო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

| | მყიდვე-ლის. | გამყიდ-ველის. | გარიგე-ბისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი გ[illegible]ბის ფურც-[illegible] სახელმწიფო [illegible] დ-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 206¾ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 94 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 102 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 99½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 95 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 100 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 98 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 29¾ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 252 |


## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მელაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დაწყებით სკოლის ნელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

ნ. წერეთელი

(50—ნ.—6)

**პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის** ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—ნ.—6)

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—6)

„Грѣхи Молодости“

ПОУЧИТЕЛЬНОЕ СЛОВО КО ВСѢМЪ, РАЗСТРОИВШИМЪ СВОЮ НЕРВНУЮ СИСТЕМУ ОНАНИЗМОМЪ И РАСПУТСТВОМЪ.

Соч. Д-ра ЛОРЕНЦЪ.

Русское изданіе Д-ра Б—а.

цѣна 1 руб.

Эта полезная книга содержитъ множество совѣтовъ, какъ избавиться страдающимъ отъ вредныхъ послѣдствій вышеозначенныхъ пороковъ и возстановить разстроенныя силы и здоровье. Книга эта разрѣшена Москов. Цензурнымъ Комитетомъ.

Складъ изданія только у ОТТО АСПЕРГЕРА ВЪ ЛЕЙПЦИГѢ (Саксонія). Иногородные за почтов. пересылку не платятъ.

(12—მ.—7)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—10)